

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

სოფიო სილაგაძე

ტურბოგენერატორის როტორის ნამზადის ელექტროწიდური გადადნობით მიღების  
პროცესში ელექტრული ველის კვლევა

ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი  
დისერტაციის

ავტორეფერატი

ქუთაისი 2023 წ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარლენ შალამბერიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი

რეცენზენტები: ომარ მიქაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი.

პარმენ ყიფიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 14 სექტემბერი, 14<sup>00</sup> სთ.

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. # 59, აუდ. 1114

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59

ავტორეფერატი დაიგზავნა \_\_\_\_\_  
(თარიღი)

სადისერტაციო საბჭოს  
მდივანი: \_\_\_\_\_ /ნ.სახანბერიძე/  
(თარიღი)

- შენიშვნა: 1. ავტორეფერატის ყდის ბოლო გვერდზე, ფურცლის ბოლოში უნდა მიეთითოს ავტორეფერატის გამოცემის ტირაჟი, გამომცემლობა და მისი მისამართი.  
2. ავტორეფერატის მეორე ყდა კეთდება იმ ენაზე, რომელზედაც შესრულებულია ავტორეფერატის თარგმანი.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** ტურბოგენერატორი ელექტრული ენერჯის მიღებისათვის გამოყენებულია თბოელექტროენერჯეტიკაში, მათ შორის ატომური ენერჯის პირველად წყაროდ გამოყენებული ე.წ. ატომურ ელექტროსადგურებში. ნომინალურ რეჟიმში მომუშავე ტურბოგენერატორის როტორის ბრუნთა რიცხვი შეადგენს 3000 ბრ/წთ-ში, ამიტომ იგი დამზადებული უნდა იყოს მაღალი სიმტკიცისა და მაღალი ვიბრომედეგობის ფოლადისაგან. ასეთი ფოლადების მიღების თანამედროვე მეთოდს წარმოადგენს, გაუმჯობესებული თვისებების ფოლადების მიღებისათვის ელექტრომეტალურგიაში ფართოდ გავრცელებული ე.წ. ლითონების ელექტროწიღური გადადნობის მეთოდი, სადაც ხდება ჩვეულებრივი კლასიკური მეთოდებით (მარტენის ღუმელში, კონვერტორში) მიღებული ფოლადების ხელმეორედ ელექტროწიღური გადადნობა.

ცნობილია, რომ ჩვეულებრივ ფოლადსადნობ ღუმელებში 1 ტ. ფოლადის გამოსადნობად საჭიროა  $1257 \cdot 10^3$  კჯ სითბო. ამ უკანასკნელის მისაღებად საჭიროა 1 ტონაზე 800 კვტ.სთ ელექტროენერჯია. აღსანიშნავია ისიც, რომ გაუმჯობესებული ხარისხის ფოლადების 1 ტონის ელექტროწიღური გადადნობით მიღებისათვის საჭიროა ორჯერ მეტი ელექტრული ენერჯია. ე.ი. ელექტროწიღური გადადნობით მიღებული გაუმჯობესებული ხარისხის ფოლადების ღირებულება ორჯერაა გაზრდილი და მის ღირებულებას განსაზღვრავს დახარჯული ელექტრული ენერჯის ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუმჯობესებული ხარისხის ფოლადების თვითღირებულების შემცირება გადასადნობი დანადგარის მ.ქ.კ. გაზრდით დღემდე აქტუალურია.

ელექტროწიღური გადადნობის დანადგარის მ.ქ.კ-ის გაზრდა, როგორც ამას მკვლევარები: ფ.თავაძე, ბ.ქაშაყაშვილი, ნინუა, ბ.პატონი, ბ.მედოვარი, ჯ.ელიოტი და სხვები მიუთითებენ, საჭიროებს თბური დანაკარგების შემცირებით სასარგებლო სითბოს გაზრდას გადადნობის პროცესის თბური ბალანსის განტოლებაში. ამ მიზნით საჭირო გაანგარიშებისათვის დღეისათვის აუცილებელია რთული ექსპერიმენტების, კვლევის ჩატარება ელექტროწიღური გადადნობით კონკრეტული მარკის გაუმჯობესებული ხარისხის ფოლადის მიღებისათვის.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ელექტრული ველის კვლევისა და გადადნობისათვის საჭირო დენის გაანგარიშების მეთოდის გამოყენებით გამარტივებულია ლითონების ელექტროწიღური გადადნობის პროცესის თბური ბალანსის განტოლების და მასში შემავალი ცალკეული შემადგენლების ანალიზი, რაც აუცილებელია დასახული ღონისძიებების თბური დანაკარგების შემცირებისათვის და მ.ქ.კ.-ს გაუმჯობესებისათვის, გაუმჯობესებული ხარისხის კონკრეტული მარკის ფოლადის ელექტროწიღური გადადნობისას.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ტურბოგენერატორის როტორის ნამზადის მიღების ელექტროწიდური გადადნობის პროცესის ელექტრული ველის კვლევა და გადადნობის პროცესისათვის საჭირო დენის გაანგარიშების მეთოდის დამუშავება.

**კვლევის ობიექტი და მეთოდები:** კვლევის ობიექტს წარმოადგენს ტურბოგენერატორის როტორის ნამზადის მიღების ელექტროწიდური გადადნობის პროცესი. ელექტროწიდური გადადნობის პროცესის სირთულისა და რეალურ პირობებში დნობების ჩატარებისა და პროცესის კვლევის სირთულის გამო გამოყენებულია მოდელირების მეთოდი, კერძოდ, დამუშავებულია:

- გადადნობის პროცესში ელექტრული ველის კვლევის ფიზიკური მოდელი;
- ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების და ქიმიური შემადგენლობის კვლევებისათვის ელექტროწიდური გადადნობის დანადგარის ფიზიკური მოდელი;
- ელექტროწიდური გადადნობისთვის საჭირო დენის გაანგარიშების ფიზიკური მოდელი (სქემები).

**მიზნის მისაღწევად დისერტაციაში დასმულია და გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები:**

1. შემუშავებულია სწრაფსვლიანი როტორის ნამზადის მიღების ორი სხვადასხვა სქემა;
2. წინასწარი ექსპერიმენტით და მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ რეალური ზომის ნამზადის მიღებისათვის კვლევები შეიძლება ჩატარებულ იქნას ელექტროწიდური გადადნობის მცირე სიმძლავრის დანადგარებზე.
3. შემუშავებულია წიდაში გამოყოფილი ე.წ. ჯოულის სითბოს გაანგარიშების ახალი მეთოდი;
4. შემუშავებულია ელექტროწიდური გადადნობისას თბური დანაკარგების განსაზღვრის მეთოდი;
5. ჩატარებული ელექტრული ველის კვლევის საფუძველზე შემუშავებულია თბური პროცესებისა და დენის გაანგარიშებისათვის საჭირო კოეფიციენტები;
6. დამუშავებულია თბური პროცესების და დენის განსაზღვრის ცდომილების განსაზღვრის მეთოდი.

**მეცნიერული სიახლე:**

გადასადნობი ლითონის და გამოყენებული წიდის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების, აგრეთვე ელექტროწიდური გადადნობის დანადგარის

(კრისტალიზატორის) მთავარი პარამეტრების გათვალისწინებით მიღებული მათემატიკური გამოსახულება, ელექტროწიდური გადადნობის თბური პროცესების და გადადნობისათვის საჭირო დენის განსაზღვრისათვის.

**დაცვაზე გამოტანილი დებულებებს** შეადგენს დისერტაციაში დასმული და გადაწყვეტილი თითოეული ამოცანა.

#### **ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია:**

დისერტაციაში განხილული საკითხების და მათი შედეგების შესახებ მოხსენებული იქნა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. დასრულებული სახით ნაშრომი განხილული და რეცენზირებული იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის „ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების“ დეპარტამენტის სხდომებზე.

კვლევის შედეგები მოხსენებათა სახით წარმოდგენილი იქნა V საერთაშორისო კონფერენციაზე „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პესპექტივები.“

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია ექვს სამეცნიერო ნაშრომში.

#### **ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:**

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ძირითადი დასკვნებისა და დანართებისაგან. სამუშაო შეიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 140 გვერდს, 43 ნახაზს, 15 ცხრილს, 3 დანართს და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

#### **სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი**


**შესავალში** დასაბუთებულია თემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი და ამოცანები.

**პირველ თავში** განხილულია და გაანალიზებულია ლითონების ელექტროწიდური გადადნობის სქემები, აგრეთვე ტურბოგენერატორის როტორის ნამზადის ელექტროწიდური გადადნობით მიღებისას წინასწარი კვლევის შედეგები.

ტურბოგენერატორის როტორის ნამზადი წარმოადგენს ელექტროწიდური გადადნობით მიღებული სამი ერთნაირი დიამეტრის მქონე და ორი შედარებით მცირე დიამეტრის ცილინდრების ერთმანეთთან ელექტროწიდური შედუღებით მიღებულ სხმულს (ნახ.1) თითოეული ცილინდრი მიღებულია Cr-Ni-Mo-V ქრომ-ნიკელ-მოლიბდენ-ვანადიუმის სისტემის შენადნობის ე.წ. როტორული

ფოლადისაგან დამზადებული დნობადი ელექტროდის ელექტროწიდური გადადნობით.

ელექტროწიდური გადადნობის ყველა განხილული სქემით მიღებული როტორის ნამზადები სიმტკიცეზე აკმაყოფილებენ ტექნიკურ მოთხოვნებს. როგორც წინასწარმა კვლევებმა აჩვენა, შედარებით მაღალი მ.ქ.კ-ით ხასიათდება ჩვენს მიერ შემოთავაზებული ელექტროწიდური გადადნობის ე.წ. არადნობად ელექტროდიანი კრისტალიზატორის სქემით გადადნობის პროცესი. კვლევებს და ანალიზს საჭიროებს ამ პროცესის დროს გამოყოფილი სრული სითბოს და თბური დანაკარგების თანაფარდობის დადგენა, გადადნობისათვის საჭირო დენის მნიშვნელობის განსაზღვრა. მსგავსი კვლევები ჩატარებულია უძრავი სქემით ელექტროწიდური გადადნობის კრისტალიზატორისათვის (ნახ.2). თუმცა იგი საკმაოდ რთულია; ჩვენს მიერ შემოთავაზებულია გადადნობის პროცესის თბური ბალანსის განტოლებაში შემავალი წევრების და გადადნობისათვის საჭირო დენის განსაზღვრის მეთოდი.




ნახ.1 ტურბოგენერატორის როტორის ნამზადი.

- 1-როტორის ცენტრალური ცილინდრი;
- 2-როტორის კიდურა ცილინდრები; ნახევარისრით ნაჩვენებია შედუღების ადგილი,
- 3-კიდურა ცილინდრები, რომლებზედაც დასმულია საკისრები (სატაცები)

ამავე თავში განხილულია ლითონების ელექტროწიდური გადადნობის მოდელირების საკითხი, კერძოდ ნაჩვენებია, რომ უძრავი კრისტალიზატორის სქემით სამრეწველო ელექტროწიდური გადადნობის დანადგარით მიღებულ სხმულში არალითონური ჩანართების რაოდენობა და განაწილება, ასევე სხმულის სხვადასხვა ადგილას სიმტკიცის მახასიათებლები, ჩვენი და სხვა მრავალი გამოკვლევების მიხედვით, პრაქტიკულად ემთხვევა ლაბორატორიული დანადგარის კრისტალიზატორში მიღებული შედარებით მცირე ზომის სხმულის შესაბამის მაჩვენებლებს. ე.ი. ელექტროწიდური გადადნობის ლაბორატორიული დანადგარის კრისტალიზატორის პროცესების კვლევისა და გაანგარიშების შედეგები და მეთოდები სამართლიანია სამრეწველო დანადგარის კრისტალიზატორში მიმდინარე პროცესისათვის.

აღნიშნული იძლევა ელექტროწიდური გადადნობის პროცესის ფიზიკური მოდელირების შესაძლებლობას, შესაბამისად კვლევები და გაანგარიშებები შესრულებული იყო 10-ჯერ შემცირებული რეალური ნამზადის მიღების (ნახ.1) პროცესისათვის.




ნახ.2 ლითონების ელექტროწიდური გადადნობის კლასიკური სქემა.

1-გადასადნობი ლითონის ელექტროდი; 2-კრისტალიზატორი; 3-თხევადი წილის აბაზანა; 4-თხევადი ლითონის აბაზანა; 5-გადამდნარი ლითონის სხმული; 6-კრისტალიზატორის ძირი; 7-დენის წყარო;  $I_{\text{გად}}$ -გადადნობის დენი.  $h_{\text{წილ}}$ -წილის აბაზანის სიმაღლე;  $d_{\text{კრ}}$ -კრისტალიზატორის შიგა დიამეტრი;  $d_{\text{ელ}}$ -გადასადნობი ელექტროდის დიამეტრი.

ელექტროწიდური გადადნობის პროცესში თბური დანაკარგების და ელექტრული ენერგიის ხარჯის შემცირების მიზნით სწრაფსვლიანი როტორის ნამზადის წარმოებისათვის, ჩვენს მიერ შემოთავაზებულია არადნობადელექტროდებიანი კრისტალიზატორის ორიგინალური კონსტრუქცია.

ელექტროწიდური გადადნობისასთვის შემოთავაზებული კრისტალიზატორი ორიგინალური კონსტრუქციით, დნობადი და არადნობადი ელექტროდების შეერთების ახალი ელექტრული სქემით, მნიშვნელოვნად განსხვავდება აქამდე არსებულ სამრეწველო დანიშნულების ელექტროწიდური გადადნობის დანადგარების შემადგენლობაში შემავალი კრისტალიზატორისაგან (ნახ.3).




ნახ. 3 ლითონის ელექტროწიდური გადადნობის სექციებიანი კრისტალიზატორი და მისი შეერთების სქემა: 1-გადასადნობი მასალის ელექტროდი; 2-კრისტალიზატორის ზედა სექცია; 3-4-კრისტალიზატორის შუა და ქვედა სექცია; 5-კრისტალიზატორის ძირი; 6-ქერქი სხმულზე; 7-გადამდნარი ლითონის სხმული; 8- გადამდნარი ლითონის აბაზანა; 9-გადამდნარი წიდის აბაზანა; 10-სექციებს შორის საიზოლაციო ფენა; 11-ელექტროდის გადამდნარი ლითონის წვეთები; 12-დენის წყარო; 13-დენის ხაზები.



მეორე თავში მოცემულია ლითონების ელექტროწიდური გადადნობისას კრისტალიზატორის წიდის აბაზანის ელექტრული ველის კვლევისადმი მიძღვნილი საკითხები. კერძოდ, განხილულია ფიზიკური მოდელის დამზადების და პოტენციალის განაწილების კვლევა წიდის აბაზანის ერთ-ერთ  $d_{კრ} = d_{წ}$  ორგანოზომილებიან სიბრტყეში<sup>1</sup>.

იგი წარმოადგენს AISI 321 ლეგირებული ფოლადის 0,1 მმ სისქის ფურცელს, რომლის სიგრძე და სიგანე თანაზომადია საკვლევი წიდის აბაზანის ზომების, ხოლო მასში ატარებენ  $\approx 100$ -ჯერ შემცირებულ გადადნობისათვის საჭირო დენს. თანაც დაცულია პირობა, რომ მასზე პოტენციალის ანათვლების აღებისას, მისი გახურება ე.წ. ჯოულის სითბოს გამოყოფის გამო, არ უნდა ხდებოდეს. წიდის აბაზანის მოდელირებით გამოვლენილია, რომ დნობადი ელექტროდის წიდასთან შეხების მახლობლობაში პოტენციალის განაწილება და შესაბამისად ელექტრული ველი არაერთგვაროვანია (ნახ.4).



ნახ.4. ელექტროწიდური გადადნობისას პოტენციალის განაწილება წიდაში, როცა პოტენციალი დენის წყაროდან მოდებულია დნობად ელექტროდზე (წყვეტილი ხაზი ექვიპოტენციალური ხაზი; მთლიანი ხაზი-დენის ხაზები)

$d_3$  - დენის ხაზების შემომსაზღვრელი ცილინდრის ფუძის დიამეტრი;

1- ეს კვლევები ჩატარებული იყო მაშინ სტუდენტ, ამჟამად აკადემიურ დოქტორ აკაკი კაკაურიძესთან ერთად 2002-2006 წლებში, როცა ამ ნაშრომის ავტორი იყო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი, პროფესორი მარლენ შალამბერიძის ხელმძღვანელობით.


ელექტროდიდან გამომავალი დენის ხაზების გაბნევა შეიმჩნევა წიდის აბაზანაში გადასვლიდან წიდის აბაზანის მთელს სიმაღლეზე. ელექტროდიდან გამოსვლის შემდეგ წიდის აბაზანაში დენის განდინების ეფექტის რაოდენობრივი შეფასებისათვის შემოღებულია ე.წ. განდინების კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს

$$K_g = d_g/d_j \quad (1)$$

მისი სიდიდე დამოკიდებულია გადასადნობი ელექტროდის დიამეტრზე, წიდის შემადგენლობაზე და იცვლება  $K_g \approx 1,3 \div 1,4$ .

დენის განდინების კოეფიციენტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია წიდის აბაზანაში დენის გავლით გამოყოფილი სითბოს და გადადნობისათვის საჭირო დენის გაანგარიშებისათვის.

ელექტროპოტენციალისა და დენის განაწილების განსხვავებული სურათია მიღებული არადნობადელექტროდებიანი კრისტალიზატორით ელექტროწიდური გადადნობისას, მათი ფიზიკური მოდელით (ნახ.5) კვლევის შედეგად. აქ, დენი გადის დნობად ელექტროდსა და კრისტალიზატორის ძირს, აგრეთვე ზედა და ქვედა (2,4) არადნობად ელექტროდებს შორის. საიდანაც სჩანს, რომ წიდის აბაზანაში გამავალი დენი განაწილებულია კრისტალიზატორის კედლის მახლობლობაში, ცხადია შესაბამისად მოსალოდნელია, რომ გაზრდილი იქნება წიდაში გამოყოფილი სითბო კრისტალიზატორის კედელთან. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გამოკვლეული და განსაზღვრული იქნას არადნობადელექტროდიანი კრისტალიზატორის თბური დანაკარგები და გადადნობისათვის საჭირო დენის სიდიდე, იმისათვის, რომ გამოვლენილი იქნას მისი უპირატესობა ან ნაკლი საყოველთაოდ მიღებულ სხვა კრისტალიზატორებთან შედარებით.



ნახ.5. ფიზიკური მოდელის კვლევის მიხედვით წიდაში პოტენციალის განაწილება, როცა პოტენციალი დენის წყაროდან ( $U=1$ ვ) მოდებულია არადნობად და დნობად ელექტროდებზე. 2, 4 - ზედა და ქვედა არადნობადი ელექტროდების მარჯვენა და მარცხენა დენმიმყვანები, 1,3 - მოდელის ფურცელი და დნობადი ელექტროდის დენმიმყვანი.

**მესამე თავში** მოყვანილია ელექტროწიდურ გადადნობაზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის უკრაინაში მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევების ზოგიერთი შედეგები, რომლებითაც მტკიცდება, რომ ელექტროწიდური გადადნობისას დიდი თბური დანაკარგების გამო მისი მ.ქ.კ. 50%-ზე დაბალია; ახალი კრისტალიზატორის თბური ბალანსის განსაზღვრა რთული კვლევითი სამუშაოების შესრულებას მოითხოვს. ამ უკანასკნელის გამარტივების მიზნით, სამუშაოში შემოთავაზებულია თბური ბალანსის განსაზღვრისა და გადადნობისათვის სჭირო დენის გაანგარიშების სქემა (ნახ.6), სადაც მოცემულია წიდის აბაზანის მთელ სიმაღლეზე და დნობად ელექტროდში ტემპერატურის ცვლილების ხასიათი, იმის გათვალისწინებით, რომ გადადნობის პროცესი ხანგრძლივია და მათი ტემპერატურა დროში პრაქტიკულად ცვლილებას არ განიცდის. ამ სქემაში მოცემულია აგრეთვე წიდის აბაზანის და გაგრილების სისტემის განივი კვეთის ერთ-ერთ სიბრტყეში ტემპერატურის ცვლილება. თუ კრისტალიზატორი წრიული ფორმისაა, ხოლო მასში წიდის აბაზანის სიმაღლეა  $h_{\text{წ}}$ , წიდის აბაზანის სითბოტევადობა  $C_{\text{წ}}$ , ხოლო თხევად მდგომარეობაში წიდის სიმკვრივეა  $\gamma_{\text{წ}}$ , წიდის აბაზანაში დენის გავლით გამოყოფილი ე.წ.ჯოულის სითბოს განსაზღვრისათვის მიღებულია გამოსახულება.

$$Q_{\text{წ}} = \pi d_{\text{კრ}}^2 / 4 \cdot h_{\text{წ}} \cdot c_{\text{წ}} \cdot \gamma_{\text{წ}} \cdot T_{\text{დწ}}^{\text{წ}} \quad (2)$$


იმის გათვალისწინებით, რომ დნობადი ელექტროდიდან დენის წიდის აბაზანაში გადასვლისას ადგილი აქვს წიდაში დენის ე.წ. განდინებას  $d_{\text{გ}}$  დიამეტრით შემოსაზღვრულ ცილინდრში, აგრეთვე წიდაში გამავალი დენის განდინების დიამეტრი დამოკიდებულია გადასადნობი ელექტროდის დიამეტრზე ე.წ. მოცემული კრისტალიზატორის შემთხვევაში კრისტალიზატორის ფორმის  $K$  კოეფიციენტზე, (2) გამოსახულება დებულობს სახეს:

$$Q_{1\text{წ}}^{\text{გ}} = \pi [d_{\text{კრ}}(1 - K)]^2 / 4 \cdot h_{\text{წ}} \cdot c_{\text{წ}} \cdot \gamma_{\text{წ}} \cdot T_{\text{დწ}}^{\text{წ}} \quad (3)$$

ამავე თავში განხილულია წყლით გაგრილების სექციებიანი გამაგრილებელი სისტემის მქონე კრისტალიზატორის კედლის მიერ წიდის აბაზანიდან ართმეული სითბოს გაანგარიშების თავისებურებანი და მიღებულია მისი განსაზღვრისათვის შემდეგი გამოსახულება:

$$Q_{\text{კკ}} = Q_{\text{წ}} \cdot n \cdot \iota_k \cdot \delta_k \cdot \eta_{\text{წ}} \quad (4)$$

როგორც ნახაზიდან ჩანს, სექციებიანი გაგრილების სისტემის მქონე კრისტალიზატორის კედლიდან წიდის აბაზანის მთელ ზედაპირზე ართმეული სითბოს განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ წიდის აბაზანაში გამოყოფილი სითბოს გარდა სექციების რაოდენობა  $n$ , მისი ზომები  $l_k, d_k$  და მარგი ქმედების კოეფიციენტი  $\eta_{\text{წ}}$ . ეს უკანასკნელი განისაზღვრება მონოგრამიდან გადადნობის დანადგარის სიმძლავრის მიხედვით



ნახ. 6. ლითონების ელექტროწიდური გადადნობის წიდის აბაზანიდან შეხების ზედაპირით დნობადი ელექტროდით ართმეული სითბოს გაანგარიშების სქემა

მესამე თავში მიღებულია, აგრეთვე თხევად წიდასთან შეხებაში მყოფი დნობადი ელექტროდის მიერ წიდის აბაზანიდან ართმეული სითბოს რაოდენობის განსაზღვრის ანალიზური გამოსახულება:

$$Q'_g = k'_2 (\pi d_{\text{გდ}}^2 / 4) X'_3 \cdot C_{\text{გდ}1} \cdot \gamma_{\text{გდ}1} \cdot T_{\text{დნ}} / 30 \quad (5)$$

ამ გამოსახულებაში  $k'_2$  კოეფიციენტი ითვალისწინებს დნობადი ელექტროდის წიდაში ჩაშვებული ნაწილის ფორმას.  $X'_3$  შეესაბამება გაანგარიშებისათვის შემოთავაზებული სქემის მიხედვით გადასადნობი ელექტროდის სიგრძეს.

$C_{\text{გდ}1}, \gamma_{\text{გდ}1}, T_{\text{დნ}}$  - წარმოადგენს შესაბამისად, საელექტროდე მასალის სითბოტევადობას, სიმკვრივეს და დნობის ტემპერატურას.


სამუშაოს ამავე თავში მიღებულია ლითონების ელექტროწიდური გადადნობისათვის საჭირო დენის განსაზღვრის გამოსახულება:

$$I_x = \sqrt{\frac{\pi(d'_{კრ})^2 / 4 \cdot h_{წ} \cdot c_{წ} \cdot \gamma_{წ} \cdot T_{დწ}^{\prime}}{0,24R_{წ}}}$$

რომლის მიხედვითაც საკმარისია ვიცოდეთ ელექტროწიდური გადადნობისას წიდის აბაზანის დენგამტარი ნაწილის მოცულობა, აგრეთვე გამოყენებული თხევადი წიდის სითბოტევადობა, სიმკვრივე, წიდის დნობის ტემპერატურა და თხევად მდგომარეობაში წიდის წინალობა.

**მეოთხე თავში** წარმოდგენილია მესამე თავში შემოთავაზებული გაანგარიშების სქემის მიხედვით, კონკრეტული კრისტალიზატორისათვის, გამოთვლილი წიდის აბაზანაში დენის გავლით გამოყოფილი სრული სითბო, წიდის აბაზანიდან კრისტალიზატორის კედლიდან ართმეული სითბოს, დნობადი ელექტროდით წიდის აბაზანიდან ართმეული სითბოს მიხედვით მიღებული თბური ბალანსის განტოლება. რომლის მიხედვითაც თბური დანაკარგები დნობად ელექტროდში შეადგენს 11%-ს, კრისტალიზატორის გაგრილების სისტემაში 46%-ს, ხოლო გადადნობილი ლითონის სხმულზე გადაცემული სითბო შეადგენს 43%. (ნახ.7).

ანალოგიური შედეგია მიღებული სხვადასხვა მკვლევარების მიერ შესრულებულ კვლევებში.




ნახ. 7. უძრავი კრისტალიზატორის სქემით ელექტროწიდური გადადნობის თბური ბალანსის სქემა შედგენილი გაანგარიშების მიხედვით.

განგარიშებულია აგრეთვე კრისტალიზატორის შიგა დიამეტრისა და განგარიშებული დენის სიდიდეებს შორის კოორელაციური კავშირის კოეფიციენტის კვლევის შედეგები. იგი დაბალია და შეადგენს 0,75-ს. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ელექტროწიდური გადადნობისათვის საჭირო დენის სიდიდე დამოკიდებულია კრისტალიზატორის ზომებთან ერთად მის ფორმაზე. კერძოდ კრისტალიზატორის ცილინდრულ ან პრიზმულ ფორმაზე. ამის გამო შემუშავებულია ელექტროწიდური გადადნობის პროცესის ე.წ. განმაზოგადებელი პარამეტრი.

$$Y_g = (Y_{1j} + Y_{2j})Y_{3f}$$

სადაც,  $Y_{1j}$ -არის კრისტალიზატორის შიგა დიამეტრი;  $Y_{2j}$ -არის გადასადნობი ელექტროდის დიამეტრი;  $Y_{3f}$ -არის გამყარებული წიდის აბაზანის წონა.

განმაზოგადებელ პარამეტრსა და განგარიშებულ დენის მნიშვნელობას შორის კოორელაციური კავშირის კოეფიციენტი მაღალია და შეადგენს 0,967-ს.



ნახ.8 დამოკიდებულება განმაზოგადებელ პარამეტრსა და გადადნობისათვის საჭირო დენს შორის

1-ემპირიული დამოკიდებულება

2-თეორიული დამოკიდებულება

$$y_g = (y_{1j} + y_{2j}) \cdot y_{3f}$$

განმაზოგადებელი პარამეტრების გათვალისწინებით გაანგარიშებულია სხვადასხვა ზომის კრისტალიზატორებში (ცხ.1), ელექტროწიდური გადადნობისათვის საჭირო დენის სიდიდე, შემოთავაზებული (ჩვენს მიერ მიღებული) მათემატიკური გამოსახულებით და შედარებულია ამავე კრისტალიზატორი ელექტროწიდური გადადნობისას უშუალოდ ექსპერიმენტის დროს გაზომილი დენების მნიშვნელობებთან.

**ცხრილი.1**

ელექტროწიდური გადადნობისათვის გამოყენებული გადასადნობი ელექტროდების კრისტალიზატორის შიდა დიამეტრები, აგრეთვე გადადნობისათვის საჭირო დენების გაანგარიშებული და ექსპერიმენტული მნიშვნელობები.

N	კრისტალიზატორის შიგა დიამეტრი,სმ	გადასადნობი ელექტროდის დიამეტრი,სმ	გადადნობისათვის საჭირო დენის გაანგარიშებული მნიშვნელობები, კა	გადადნობისათვის საჭირო დენის ექსპერიმენტული მნიშვნელობები, კა	ელექტროწიდური გადადნობისას, წიდის აბაზანაში გამოყოფილი სითბო კჯ
1	25,4	12,7	5,625	5,8	22785
2	32	16	6,477	6,5	30206
3	36	18	7,226	7,2	38229
4	48	24	9,715	8,9	67963
5	20x20	11,8x11,8	6,228	6,4	27933*
6	22,5x22,5	16x16	7,800	7,6	43886*

\* პრიზმული ფორმის კრისტალიზატორში ელექტროწიდური გადადნობისას წიდის აბაზანაში გამოყოფილი სითბო.

გამოთვლილია საშუალო აბსოლუტური და საშუალო ფარდობითი ცდომილებები. ეს უკანასკნელი არ აღემატება 3%-ს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შემოთავაზებული სქემით და მიღებული მათემატიკური გამოსახულებებით გაანგარიშების მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ლითონების ელექტროწიდური გადადნობისათვის ახალი ტექნოლოგიების დამუშავებისათვის, კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად (ცხ.2).

ცხრილი 2.

შემოთავაზებული სქემით ელექტროწიდური გადადნობისათვის საჭირო გაანგარიშებული  
დენების ცდომილებები

	$I_i$ , კა	$(I_i)_{საანგარ}$ , კა	$\xi$	$\bar{\xi}$	$\varepsilon_i$	$\bar{\varepsilon}_i$ , %
1	5,625	5,800	0,175	-	0,0311	-
2	6,477	6,500	0,023	-	0,0036	-
3	7,226	7,200	0,026	0,235	0,00408	2,9
4	9,715	8,900	0,815	-	0,0839	-
5	6,228	6,400	0,172	-	0,0276	-
6	7,800	7,60	0,200	-	0,0256	-
$\Sigma$			1,411		0,1759	



## ძირითადი დასკვნები

1. უძრავი კრისტალიზატორის სქემით სამრეწველო ელექტროწიდური გადადნობის დანადგარით მიღებულია სხმულში არალითონური ჩანართების რაოდენობა და განაწილება, ასევე სხმულის სხვადასხვა ადგილას სიმტკიცის მახასიათებლები, ჩვენი და სხვა გამოკვლევებით, პრაქტიკულად ემთხვევა ლაბორატორიული დანადგარის კრისტალიზატორში მიღებული მცირე ზომის სხმულის შესაბამის მაჩვენებლებს; ამით დადგენილია, რომ ელექტროწიდური პროცესის და დანადგარის დამუშავებული მოდელის კვლევის და გაანგარიშების როგორც შედეგები ასევე მეთოდები სამართლიანია სამრეწველო დანადგარის კრისტალიზატორში მიმდინარე პროცესებისათვის.
2. კრისტალიზატორის უძრავი სქემით ელექტროწიდური გადადნობისას წიდის აბაზანაში პოტენციალის განაწილების ორგანზომილებიანი მოდელით კვლევამ აჩვენა:
  - დნობადი ელექტროდის წონასთან შეხების მახლობლობაში პოტენციალის განაწილება და შესაბამისად ელექტრული ველი არაერთგვაროვანია;
  - ელექტროდიდან გამომავალი დენის ხაზების გაბნევა შეიმჩნევა მათი წიდის აბაზანაში გადასვლისას და მოიცავს არეს, რომელიც შეიძლება შეფასებული იქნას ე.წ. წიდის აბაზანაში დენის ხაზების გაბნევის კოეფიციენტით  $k = d_g/d_j$
  - დადგენილია,  $k \approx 1,3 \div 1,4$  და იგი ერთ-ერთი განსაზღვრული სიდიდე უნდა იყოს წიდის აბაზანაში გამოყოფილი სითბოსა და გადადნობისათვის საჭირო დენის გაანგარიშებისას.
3. შემოთავაზებულია ელექტროწიდური გადადნობისას გამოყოფილი საერთო სითბოს და თბური დანაკარგების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც ემყარება გადასადნობი ელექტროდის და წიდის აბაზანის ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებს.
4. შემუშავებულია წიდის აბაზანაში დენის გავლით გამოყოფილი სრული სითბოს საანგარიშო სქემა და მიღებულია სათანადო მათემატიკური გამოსახულება გამოყოფილი სითბოს გაანგარიშებისათვის წიდის აბაზანის სიმაღლის, კრისტალიზატორის შიდა კედლის დიამეტრის, თხევად მდგომარეობაში წიდის სითბოტევადობის და სიმკვრივის, აგრეთვე წიდის დნობის ტემპერატურის მიხედვით.
5. მიღებულია უძრავი კრისტალიზატორის სქემით ელექტროწიდური გადადნობის კრისტალიზატორის შიგა კედლიდან ართმეული სითბოს საანგარიშო გამოსახულება.
6. მიღებულია მათემატიკური გამოსახულება ელექტროდის გადადნობის პროცესში თბური დანაკარგების გაანგარიშებისათვის ელექტროდის და წიდის აბაზანის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

7. უძრავი კრისტალიზატორის სქემით ელექტროწიდური გადადნობის კონკრეტული კრისტალიზატორისათვის, შემოთავაზებული საანგარიშო სქემის გამოყენებით გაანგარიშებული იქნა: დნობად ელექტროდში გამოყოფილი სითბო; წიდის აბაზანაში დენის გავლით გამოყოფილი ჯოჯის სითბო და წიდის აბაზანიდან გაგრილების სისტემის მიერ ართმეული სითბო. შედეგად მიღებული თბური ბალანსის განტოლებაში წიდის აბაზანაში გამოყოფილი მთლიანი სითბოს პროცენტული განაწილება პრაქტიკულად ემთხვევა სხვა მკვლევარების მიერ მიღებული თბური ბალანსის განაწილების აღიარებულ სურათს, რაც არაპირდაპირ მიუთითებს, რომ სითბოს ცალკეული სახეობის გაანგარიშების შემოთავაზებული სქემა უზრუნველყოფს დამაკმაყოფილებელ სიზუსტეს.

8. კონკრეტული პარამეტრების მქონე კრისტალიზატორებში ელექტროწიდური გადადნობისათვის საჭირო დენის გაანგარიშებული მნიშვნელობა პრაქტიკულად ემთხვევა ამ კრისტალიზატორებში გადადნობის პროცესში გაზომილი დენების მნიშვნელობებს. საშუალო ფარდობითი ცდომილება არ აღემატება 3%-ს.

9. შემუშავებულია უძრავ კრისტალიზატორში ელექტროწიდური გადადნობის პროცესის განმაზოგადებელი გამომავალი პარამეტრი:

$$Y_g = (Y_{1g} + Y_{2g}) \cdot Y_{3g}$$

იგი წარმოადგენს კრისტალიზატორის და გადასადნობი ელექტროდების დიამეტრების ჯამს გამრავლებულს წიდის აბაზანის მასაზე.

განმაზოგადებელი პარამეტრის და გადადნობისათვის საჭირო დენს შორის კოორელაციური კავშირის კოეფიციენტი არაა დამოკიდებული კრისტალიზატორის ფორმაზე და მისი მნიშვნელობა შეადგენს 0,967-ს.

**დისერტაციის ძირითადი შედეგები ასახულია  
შემდეგ ნაშრომებში**

1. ფხაკაძე თ., სილაგაძე ს., ხვადაგიანი ა., შალამბერიძე მ. “გაბარიტული ლითონკონსტრუქციების შედუღების ხარისხის კონტროლის შესაძლებლობების კვლევა”, ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის შრომათა კრებული, №1(16).-ქუთაისი: საქართველო, 2005.-გვ.243-247.
2. ა.კაკაურიძე, ლ.ზივზივაძე, ს.სილაგაძე, მ.შალამბერიძე. “საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების გადამუშავებისათვის მაღალტემპერატურული ღუმელის გამოყენების პერსპექტივა”, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო მანქანები: განვითარების პერსპექტივები სტანდარტიზაციის და ხარისხის მართვის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. ქუთაისი, 2017 წ., გვ.128-131
3. სილაგაძე ს., ზივზივაძე ლ., ცქიფურიშვილი თ., შალამბერიძე მ., “გენერატორის როტორის ნამზადის მიღების ელექტროწიდური ტექნოლოგია” /V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ საქართველო, ქუთაისი, 2018 წ.-გვ.224-226
4. სილაგაძე ს.რ., ზივზივაძე ლ.ბ., ცქიფურიშვილი თ.ზ., აბესაძე შ.ა., “როტორის მაგნიტური ნამზადის მიღების შესაძლებლობა არადნობადელექტროდებიან კრისტალიზატორში ლითონების ელექტროწიდური გადადნობით”, საქართველოს საინჟინრო სიახლენი. საერთაშორისო საინჟინრო აკადემია, თბილისი. 2019, ISSN 1512-0287. გვ.108-113.
5. სილაგაძე ს.რ., ზივზივაძე ლ.ბ., შალამბერიძე მ.შ., “ლითონების ელექტროწიდური გადადნობისას ელექტროდის გახურებაზე დახარჯული სითბოს განსაზღვრა”, საქართველოს საინჟინრო სიახლენი. ISSN 1512-0287 , თბილისი 2022. გვ. 60
6. სილაგაძე ს.რ., ზივზივაძე ლ.ბ., შალამბერიძე მ.შ., “უძრავი კრისტალიზატორის სქემით საჭირო დენის გაანგარიშება ლითონების ელექტროწიდური გადადნობისათვის”, საქართველოს საინჟინრო სიახლენი. ISSN 1512-0287, თბილისი 2023. გვ.57-62.

**Akaki Tsereteli State University**

*Copyrighted manuscript*

**Sofio Silagadze**

**Study of the electric field in the process of obtaining the turbogenerator rotor blank by  
electro-slag re-melting**

**The Author's Abstract**

**of the Doctoral Thesis Nominated for Academic Degree  
of the Doctor of Engineering**

Kutaisi 2023

Akaki Tsereteli State University

Scientific advisor: Marlen Shalamberidze, Professor Emeritus of Akaki Tsereteli State University

Reviewers: Omar Mikadze - Technical University of Georgia  
Professor of the Faculty of Chemical  
Technology and Metallurgy.

Parmen Kipiani - Akaki Tsereteli State University  
Academic doctor, professor.

The Dissertation defense is held on 2023, September 14, 14:00 h.  
( Date and time)

At the meeting of the Dissertation Commission established by the Dissertation Council of the Faculty of Technical Engineering.

Address: Georgia, Kutaisi, Akaki Tsereteli State University, Tamar Mepe st. 59, Room No. 1114,

The thesis is available in the library of Akaki Tsereteli State University at the address: 59 Tamar Mepe Street, 4600, Kutaisi.

The Author's abstract was sent out on \_\_\_\_\_  
(date)

Secretary of Dissertation Council \_\_\_\_\_ /N. Sakhanberidze/  
(signature)

- Note: 1. On the last page of the Author's abstract cover, at the bottom of the page, the circulation of the Author's abstract, the publisher and its address should be indicated.  
2. The second cover of the Author's abstract is made in the target language.

## General description of paper

### Topicality of research.

The turbogenerator is used to generate electricity in heat power engineering, including the so-called primary source of nuclear energy - in nuclear power plants. The number of revolutions of the rotor of the turbogenerator working in the nominal mode is 3000 rpm, therefore it should be made of high strength and high vibration resistant steel. The modern method of obtaining such steels is the so-called method of electro-slag re-melting of steels which is widely used in electrometallurgy for obtaining steels with improved properties, where the steels obtained by conventional classical methods (in a open hearth furnace, converter) are subject to electro-slag re-melting.

